ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

სამშაბათი, 24 მაისი

# სამშობლო

№ 362

| გაზეთის ფასი: | განცხადების ფასი: |
|---|---|
| წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით 7 კ** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ | ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან. |

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

სამშაბათს, 24 მაისს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**თავად ვარლამ მიხეილის ძის ერისთვის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი და შვილები.

---

პარასკევს, 20 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაბა ახალ სენაკში გადაიცვალა აზნაური

**გიორგი უჩარდიას ძე ადანაია,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ძმა ბეკო უჩარდიას ძე ადანაია, მეუღლე მისი მაკო ■ხახუ ასული ადანაიასი, შვილები: გრიგოლი, დიმიტრი და შტაბს კაპიტანი კონსტანტინე ბეკოს ძე ადანაიები, რძალი მათი ანეტა ფილიპეს ასული ადანაიასი. ცხედარს გამოასვენებენ ახალ სენაკიდან სამშაბათს, 24 მაისს, დილის 9 საათზე და გასვენებულ იქნება ს. ხორში დასაკრძალავად საადანაიოს მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში იმავე დღეს, ნაშუადღევის სამ საათზე.

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე პაშა იოსების ასული და დედა ელპიდე რატიანისა, სიდედრი გუგული, სიმამრი იოსებ, ცოლის ძმები: საშა, რამინ, გრიშა, ჯაბა და სადიკო ლომინაძეები — მეუღლეებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ ხაშურის კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებლის

**მიხეილ (გუია) პიმენის ძის რატიანის**

ტრაღიკულ გადაცვალებას, რომელიც 19 მაისს, საღამოს 9 საათზე, ვერაგულათ იქნა მოკლული დ. ხაშურში. ცხედარს მოასვენებენ ხაშურიდან ქუთაისის სადგურზე 24 მაისს, სამშაბათს, დილის 8 საათზე და იქიდან წაასვენებ მთავარანგელოზის ეკლესიაში, საიდანაც, წირვა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ, ნაშუადღევის 4 საათზე, წაასვენებენ საფიჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ.

184 1—1

---

**ქუთაისის ოლქის სააქციზო სამმართველო** საჯაროთ აცხადებს,

**რომ ამა 1916 წლის 23 მაისიდან**

**მომატებული იქნება**

## ბაჟი თამბაქოზე

თამბაქო თუ პაპიროსი გაიყიდება არა უძვირეს იმ ფასებისა, რა ფასებიც აღნიშნულია ეთიკეთის ზემოთ დაწებებულ „იარლიკზე", რომლის ერთი ნაწილი ბანდეროლ ქვეშ უნდა იყოს დატანებული, ან თუ ეს იარლიკი არ აღმოჩნდება — თვით ეთიკეთზე დაბეჭდილ ფასად,

**ფასების მომატება ვაჭრებს კანონით სასტიკად ეკრძალებათ** 3—2

## ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „**ტრინდენისა**". იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოქგურული" ქუთაისი, კახიანოური. თვ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკერიის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ექიმი** **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 46, ტელეფონი № 87

14 თ

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** ურჩის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ვილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** **ი. ჩარექოში** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს **კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.** (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$— . საათ. საღ. 6—8 საათ.

**მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.** ტელეფონი № 135. თ.

**ჩამოსული რუსი სტუდენტი**

უკანასკნელი კურსის (8 წლის პრაქტიკით) **ეძებს გაკვეთილს**, ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყოველ კლასში, ათვიაქის მოწავეთ, „ვოლნოოპრედელიაიუშჩის"; პირველ და მეორე ხარისხზე, პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლათ და სხვადასხვა სასწავლებელში შესასვლელათ.

თანახმაა აგარაკზე გაკვეთილი აიღოს.

მისამართი: დადიანის ქუჩა სახლი 6. სტ. ალ. კობიაშკო.

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ელექტრო „**რადიუმ**" თეატრი

ორშაბათიდან, 23 მაისიდან **პატე ჟურნალი № 341.** მიმდინ. ამბები.

## ქალი, რომელზედაც არ ღირს ლაპარაკი.

ძლიერი დრამა 5 ნაწილად ვავიჩისა და პავლოვის მონაწილეობით.

**ანონსი.** ხუთშაბათიდან, 26 მაისიდან ახალი პროგრამა. **წყალქვეშა ნავი და მისი მოწყობილობა.** საფრანგეთის კინემატოგრაფის სინდიკატისა. **ნავთისა და მილიონების სამეფოში,** 1 სერია იბრაგიმ ბეკ მუსაბეკოვის რომანისა კინო დრამა ბაქოელ მუსულმანთა ცხოვრებიდან. სცენარია ა. დ პაპოვ-პოტიომკინისა, ბ. ნ. სვეტლოვის მიერ დადგმული.

ელექტრო „**ამპირი**" თეატრი

ორშაბათიდან, 23 მაისიდან ახალი პროგრამა. **ქრონიკა გომონი 38 ბ.** მიმდინარე ამბები.

## ვნებათა ღელვა.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.

**ანონსიც:** ხუთშაბათიდან, 26 მაისიდან **წყალქვეშა ნავი და მისი მოწყობილობა.** საფრანგეთის სინემატოგრაფის სინდიკატისა. **მე ვარ მეფე, მონა, ჭია, ღმერთი-** ძლიერი დრამა 4 ნაწ. ცნობილ მსახიობთა გრომოვისა და ნელსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**" და „**რადიუმში**"; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

**ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის**

## ჭრა-კერვის

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევშისახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ. კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

56 ეგზამენების დაჭერა მოხდება ქსპერტების თანადასწრებით.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

**ამზადებს**

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძასა. თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

### დეპეშები.

**(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).**

რუსეთის ასპარეზზე გერმანელებმა ყველა ყალიბის ზარბაზნები იაკობშტადტის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაუშინეს.

— —

დვინსკის მიდამოებში მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.

— —

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: ბერლინის საზღვაო შტაბი იტყობინება: ღამე, 18 მაისს, ინგლისელ-გერმანელებთა საზღვაო შეტაკება მოხდა. გერმანეთის გემები „ვისბადენი", „პომერნი" და „ფრაუენბლოში" და რამდენიმე ნაღმოსანი დაიღუპა. მათივე ცნობით, ინგლისელებმა დაჰკარგეს ხუთი გემი და რამდენიმეც დაზიანდა.

— —

ვერდენის ასპარეზზე გერმანელები დუომონ და ვოს შუა შეიჭრენ. სხვა ადგილებში ბრძოლაა.

— —

გერმანელები დუომონთან კაიეტის ტყეშიც შეიჭრენ და ვოს ტბამდე მიაღწიეს.

— —

ბერლინიდან იტყობინებიან: ლიბკნეხტს ღალატის ბრალდება წარუდგინეს. მას სულ ცოტა ათი წლის კატორღა მოელის.

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

რიგის ფრონტზე ბრძოლა თანდათან ფითარდება. მეტად მძაფრი ბრძოლა სწარმოებს დვინის დასავლეთიდან 22—25 ვერსის მანძილზე.

— —

რიგის რაიონი გერმანელებს მიუვალ სიმაგრეთ გარდაუქმნიათ. აქ შეხვდებით ჯავშნიან სიმაგრეთ, ვეებერთელა თხრილებს, თხრილებში მოწყობილ ბატარეებს და ტელეფონის შეერთებულ ბეგობებს

— —

სმორგონთან გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. განსაკუთრებულ მოქმედებას მზვერავთა რაზმები იჩენენ.

— —

სერბიის მეფე პეტრე ათინას მისულა. იგი ახლა თავს უკეთ გრძნობს. მეფე აქ რამდენსამე დღეს დაჰყოფს. ათინაში უკვე დაიწყეს იმ ჯარის მზადება, რომელიც მაკედონიაში უნდა გადაგზავნონ.

— —

7 მაისს მოხდა ჩქარი სხდომა საბერძნეთის სამინისტროსი, რომელმაც განიხილა სურსათ-სანოვაგის საკითხი

ჰინდენბურგის განკარგულებით ვარშავაში „ადგილობრივი თვითმართველობის წესები შემოუღიათ.

— —

როგორც ვიცით, გერმანიაში სურსათ-სანოვაგის საქმის მოწესრიგება და მისი დიქტატორობა ბეთმან ჰოლვეგმა ჩაიბარა. ამ საქმეში მის ახლობელ თანამშრომლათ დაუნიშნავთ ცნობილი ბერლინელი ვექილი მიულერი.

— —

ბავარია მოითხოვს, რომ გერმანიამ საჩქაროდ გადასწყვიტოს ელზას-ლორენის საკითხი, რის გამოც ბეთმან ჰოლვეგი ბავარიას წასულა.

— —

ბალკანეთზე ბრძოლა გრძელდება. ბულგარეთის ჯარის ერთი ნაწილი ახლა კავკასიისკენ დაიძრა, ამ ჯარის სურვილია კავალის რაიონის ხელში ჩაგდება და იქ გამაგრება.

— —

ვერდენის ბრძოლის პირზე გერმანელებს 35 დივიზია ჰყოლიათ, 600 ბატარეით. ამ ჯარს კრონპრინცის მოთხოვნით, ამ დღეებში მიემატა ორი კორპუსი.

— —

ხმელთა შუა ზღვაში ჩაძირული იტალიის გემი „მორავია" გერმანელების წყალქვეშას დაუღუპავს.

— —

ხარბინში კორეიელებმა თავის კომერციული ბანკი დააარსეს. ბანკი იმოქმედებს განსაკუთრებით ჩრდილო მანჯურიის საჭიროებისათვის. იაპონიის მთავრობამ დაამთავრა მოლაპარაკება ამერიკის რესპუბლიკასთან შესახებ ემიგრაციისა. მოლაპარაკება გერმანიის სასარგებლოდ დასრულებულა.

— —

საბერძნეთზე ცუდ გავლენას ახდენს მოკავშირეთა და შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების მოძრაობა ბალკანეთზე. საბერძნეთის ჯარი სამეფოს შუაგულ ადგილებისკენ იხევს. საბერძნეთში დიდი შიშია.

— —

„ბირჟ. ვედ."-ს სამხედრო მიმომხილველის აზრით, არზრუმის მიმართულებით ოსმალნი სამი მხრიდან შემოუტევენ რუსებს. ა) ბაიბურთით; ბ) ერძიჯანითა და მუშით. სამხედრო მიმომხილველი აღნიშნავს, რომ კავკასიის ასპარეზზე ჯერ არც ერთ ოპერაციას თვალსაჩინო ცვლილება არ მოუხდენია და ამრიგათ ოპერაციები მოსალოდნელია მთელ ზაფხულს გაგრძელდეს, რადგან ოსმალებს აქ მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავთ. რუსებმა მამახათუნის მიმართულებით უკან დაიხიეს.

— —

ვერდენს გერმანელები ხუთი ვერსის მანძილზე მიახლოვებიან. გერმანელებს იმედი აქვთ ახლა, რომ ფრანგებს დაატოვებინებენ სისხლით მორწყულ ვერდენის სიმაგრეს.

— —

ჩინეთის არეულობას ბოლო არ უჩანს. ბევრი პროვინცია კვლავ განზეა გამდგარი და არც იუანშიკაის ემორჩილება და ვერც ახალი მთავრობა აურჩევია.

— —

სტოკჰოლმიდან მოსული ცნობით, ჩეხიასა და საქსონიაში დიდი ნიაღვარი მოსულა, ნიაღვარს მოჰყოლია ძლიერი სეტყვა, რასაც ნათესობა სულ ერთიანად წაულეკავს.

— —

საბერძნეთის პარლამენტში ყოფილ მინისტრს და ცნობილ გერმანოფილ რალის შეკითხვა შეუტანია, რომელსაც დიდი სენსაცია გამოუწვევია საბერძნეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებს შორის. ლარისს უთქვამს საბერძნეთის ნეიტრალობა თანდათან საფრთხეში ვარდებაო, ამიტომ საჭიროა საბერძნეთმა კარგათ გათვალისწინებული ნაბიჯი უნდა გადასდგას იმ შემთხვევაში, თუ ნეიტრალობას ვერ შეუ-

# ომის დღიური.

**ვერდენის** ასპარეზზე გერმანელები განაგრძობენ დუმონ ვოს ფრონტზე იერიშების მიტანას.

**რუსეთის ასპარეზზე** უმნიშვნელო შეტაკებებია.

**კავკასიის ასპარეზზე** მდგომარეობა უცვლელია.

**იტალიის ასპარეზზე** ავსტრიელები ადიჯის მიმართულებით წინ მიდიან.

რიგდება ომში ჩასარევათო. რალისის ამ განცხადებას პროტესტით შეხვედრია რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის დესპანები.

——

1 ივნისს პარიზში უნდა მოხდეს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლების მეორე კონფერენცია. კონფერენცია შეეხება ომის საკითხებს, სასროლ მასალებსა და მოქმედების საქმეს.

——

ბალტიის ზღვაში ზარბაზნების ძლიერი ხმა მოისმის. „ბირჟ. ვედ." გადმოგვცემს, რომ ბალტიის ზღვაზე გერმანიის ფლოტმა მოქმედება დაიწყოვო.

——

მარმარილოს ზღვაში გერმანიის წყალქვეშა შეუმჩნევიათ.

——

საზღვაო მოლაპარაკების საქმეში ამერიკის პრეზიდენტ ვილსონისთვის ესპანეთის მეფეს დახმარება აღუთქვამს.

### ქ. ქუთაისი, 42 მაისი.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი საქართველოს ორი დიდი საადგილ-მამულო ბანკი აქვს. ორივე ეს ბანკი ქართველ თავად აზნაურობას ეკუთვნის, მაგრამ ქართველ ერის ეროვნულ სიმდიდრეს კი შეადგენს ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ბესარიონ ღოღობერიძის, ნიკო ნიკოლაძისა და კიდევ სხვათა ეროვნული ღვაწლის ნაყოფია ეს დაწესებულებანი. ამ სახელოვანმა მამულიშვილებმა ჩაუყარეს ამ ბანკებს საძირკველი და მათვე შთაბერეს ამ საქმეს არა წოდებრივი, არა ვიწრო ვაჭრული, არამედ ფართო ეროვნული სული და ლტოლვა.

დიდს იმედებს ამყარებენ ამ ორს ბანკზე მისი დამაარსებელნი, დიდს ეროვნულს მნიშვნელობას მიაკუთნებდენ მას. ბევრი რამ ამ სურვილებისა განხორციელდა. უმეტესი ნაწილი კი არა და ამასაც ფრიად თავისი მიზეზები ჰქონდა. ბანკის საქმე სრულიად ახალი ხილი იყო ქართველ საზოგადოებისთვის. ამ რთულ საქმისთვის ის სრულიად არ იყო მომზადებული. ამით აიხსნება, რომ ამ ორ დაწესებულებაში ვერ დაემკვიდრა სავსებით ის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც უნდა ეწარმოებინა ამ ჩვენს ბანკებს, თანახმად დამაარსებელთა განზრახვებისა. მრავალჯერ გადაცდენილა ეს ბანკები ამ საერთო ეროვნულ გზას და პიროვნებათა ვიწრო ინტერესების მსახურად გამხდარა. კიდევ უფრო ხშირად ეს ბანკები პირადი ქიშპისა და ბრძოლის ასპარეზად გადაქცეულა. თორემ ქართველ საზოგადოებას რომ გამოეჩინა შესაფერი ცოდნა თუ უნარი და ეს ორი ბანკი თავიდანვე არჩეული გზით ეწარმოებინა, დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ვითარებაც მრავალმხრივ სხვანაირი იქნებოდა. ორ საადგილ-მამულო ბანკს ეროვნული მიზნებით აღჭურვილს დიდი ცვლილების მოხდენა შეეძლო ჩვენი პატარა სამშობლოს ცხოვრებაში. დღეს არ იქნებოდა ჩავარდნილი ასეთს საფრთხეში ჩვენი ეროვნული ტერიტორია და მისი მთლიანობა. არ იქნებოდა ასე მოუწყობელი ჩვენისოფელი და მეურნეობა უპატრონოდ მიტოვებული. სასწაულებრივი ცვლილებები მოუხდენია სხვა ქვეყნებში ამგვარ ნიადაგზე აღმოცენებულ საადგილ მამულო ბანკებს და ჩვენში თუ მსგავსი რამ ამისა არ მოხდა, ეს მხოლოდ ჩვენი საზოგადოების მოუმზადებლობის ბრალია. ჩვენმა საზოგადოებამ ვერ გაუწია ამ დაწესებულებას შესაფერისი ხელმძღვანელობა.

წარსულში დაკარგულს ვერ დავიბრუნებთ და შეცდომების მოგონება მით არის საჭირო, რომ მომავალში არ გავიმეოროთ ვერ მოვიხმარეთ ეს მკვეთრი იარაღი ეროვნულ საქმისთვის. ჩვენს საზოგადოებას შესაფერი მომზადება არ აღმოაჩნდა. მას ამის ძალა არ შესწევდა, ამ ბანკების დაარსების შემდეგ ჩვენი საზოგადოება გაიზარდა, გაიზარდა თვით იმ ეროვნული პოლიტიკის წარმოების საჭიროება, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ეს ორი ბანკი. ნუ თუ მომავალშიაც ვერ შევსძლებთ ამ დაწესებულებების ეროვნულ მიზნების შესაფერად გამოყენებას! ვერ შევძლებთ თუ გავყევით ძველთაგანვე გატკეპნილ გზას, ბანკის ანგარიშების შედგენა დამტკიცებას და დარჩენილი მოგების განაწილების გზას, როდესაც რამდენიმე ათას მანეთს საზოგადო საჭიროებებს მოვახმართ და გვგონია, რომ ჩვენის მეოხებით საადგილ-მამულო ბანკები პირნათლად ასრულებენ ერის წინაშე მოვალეობას.

საქართველოს ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. აქამომდე მძინარე ეკონომიური ძალები იღვიძებენ და მოქმედების გზას ადგებიან. ჩვენი ცხოვრების ასეთ ვითარებებს საზოგადოებრივი ძალების შესაფერი მზრუნველობა სჭირია. ეკონომიური საქმიანობა ჩვენში მხოლოდ ფეხს იდგამს და მისი შეფერხება და ხელის შეშლა ეროვნული ცხოვრებისთვის დამღუპველია.

ძველი გზა, როდესაც ჩვენი საზოგადოება ან რაიმე განყენებული მისწრაფების, ან კერძო ინტერესებების თუ პიროვნებათა ბრძოლის გარეშე არაფერს არ ხედავდა, დაგმობილი უნდა იქნეს არა მარტო რომელიმე ჯგუფის მიერ, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებისაგან.

უპირველეს ყოვლისა ეს ცვლილება უნდა განიცადოს ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების ცხოვრებამ, რაც წინეთ ყოფილა, მომავალში არ უნდა განმეორდეს. ბანკის ცხოვრებაში უნდა გამეფდეს საღი ეკონომიური პოლიტიკა, არა პიროვნებათა ჯიბრი, და შეხლა-შემოხლა, არამედ გულწრფელი სამსახური იმ დიად მიზნებისა, რომლის განსახორციელებლად დააარსეს საადგილ მამულო ბანკები სახელოვანმა ქართველმა მამულიშვილებმა.

22 მაისს ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება გაიხსნა. ჩვენ გვწამს, რომ ეს კრება ბანკის ეროვნული მნიშვნელობის თვალსაზრისამდის ამაღლდება და ყველა მის საკითხს ჩვენი ეროვნული იდეალების სიმაღლიდან გააშუქებს.

წარსულის შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ. საადგილ-მამულო ბანკებში ჩვენ საღი ეროვნული პოლიტიკა უნდა გაგვემეორებია, მისი შემწეობით ჩვენ უნდა აგვემოძრავებინა დაცემული სოფლის მეურნეობა, უნდა დაგვეცვა ჩვენი ეროვნული მიწა. ჩვენ კი ხშირად ამ ბანკებს კერძო პირთა და ჯგუფთა შეხლა-შემოხლის ასპარეზად ვხდიდით და მით ამ დაწესებულებებს დასახულ მიზნებს ვაშორებდით.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება აწ მაინც მეტ სიფხიზლესა და გონიერებას გამოიჩენს.

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**დღევანდელ ჩვენს გაზეთს თან ახლავს ქუთ. საად. მამ. ბანკის განცხადება, რომელიც შეიცავს 16 გვ.**

✦ კვირას, 20 მაისს, ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში ყველა რედაქციებისა და ამხანაგობისაგან გადახდილ იქნა პანაშვიდი ცნობილ პუბლიცისტის ლადო დარჩიაშვილის სულის მოსახსენებლად.

ლადო დარჩიაშვილის სკოლის ამხანაგებმა გადასწყვიტეს დააარსონ ფონდი ძვირფასი ნეშტის სამშობლოში გადმოსასვენებლად. ჯერ-ჯერობით ამ ფონდს შემოსწირეს ექიმმა დადუნაშვილმა — 6 მ. რაჟდენ კანდელაკმა — 3 მ. ეპიფანე კანდელაკმა — 3 მ. ი. ცინცაძემ — 3 მ.

შემოწირულება მიიღება „სამშობლოს" რედაქციაში.

✦ დღეს, 24 მაისს, აკაკი შანიძე ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში წაიკითხავს შემდეგ მოხსენებას: მეორე პირის სუბიექტიური და ობიექტიური პრეფიქსი მესამე პირის ზმნებში (ჰ—სა და ს—ანის ხმარების საკითხი ზმნის ფორმებში. მოხსენება წაიკითხება შავი ქვის მრეწველთა საბჭოში საღ. 8 საათ.

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

I) ქართული ზმნების აგებულება საზოგადოდ; II) მეორე პირის სუბიექტიური პრეფიქსი ძველს ქართულში; III) მესამე პირის ობიექტიური პრეფიქსი ძველს ქართულში: 1) სახელობითი ბრუნვის დამატება; 2) მიცემითი ბრუნვის დამატება; ა) ნამყო სრულის წარმოება ბ) აწმყოს წარმოება IV 12—18 საუკუნის ენა ანტონ კათოლიკოზის ღრამატიკა. თანამედროვე სამწერლო ენა; V კილოები; 2) დასავლეთის ჯგუფი (იმერული, მეგრული) 2) აღმოსავლეთის ჯგუფი (ქართული კახური, ქიზიყური, ფშაური, თუშური, ხევსურული); VI დასკვნა

✦ ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებით, სამსახურიდან დაითხოვეს ტყიბულის რაიონის ბოქაული ბიბიკოვი და მის ადგილზე გადმოიყვანეს ზესტაფონის რაიონის ბოქაული ამ. აკოპოვი.

✦ ქ. ფოთის პოლიცმეისტერი პოდპოლკოვნიკი ვოიეჩკი ავადმყოფობის გამო 5 მაისიდან დროებით გაანთავისუფლეს სამსახურიდან.

✦ შაბათს, 21 მაისს, ქართული თეატრის დარბაზში მსახიობ იმედაშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს ცნობილი პიესა „ოტელო" საზოგადოება საკმაოთ დაესწრო.

✦ ქუთაისის გუბერნიის სამაზრო მარშლებათ აირჩიეს ისევ ძველები. მხოლოდ ლეჩხუმის მაზრაში კი ალ. დადეშქელიანი.

✦ ოთხშაბათს, 25 მაისს, ქალაქის ბაღში დანიშნულია დიდი სახალხო სეირნობა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება „სინათლის" საზოგადოების სასარგებლოთ

✦ კვირას, 22 მაისს, ქალაქის ბაღში გაიმართა ქუთ. გუბერ. უმწეო ბავშვთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობა. სეირნობას საზოგადოება ბევრი დაესწრო. ბაღი მშვენივრად იყო მორთული და განათებული.

✦ ქუთაისის 8 კლ. კომერციული სასწავლებლის მოწაფეები შაბათს, 21 მაისს, დაითხოვეს საზაფხულოთ. ამ კვირაში კი მისაღები გამოცდები იქნება.

✦ კვირას, 22 მაისს, არქიელის გორაზე ახვლედიანის სახლში ახალგაზრდა სცენის მოყვარეებმა ავტორის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს სტუდენტთა ცხოვრებიდან ამოღებული პიესა „აშენდ-საქართველო". საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

✦ დაიბეჭდა და მალე გამოვა, შემოსავლის კვალობაზე სახელმწიფო გადასახადის კანონი 6 აპრილის 1916 წ.

✦ ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ჭიათურის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან ს. პერევისაში (შორაპ. მაზრა) აკაკის სახელობაზე უფასო წიგნსაცავ სამკითხველო ამბაკო ბარელაძის პასუხისმგებლობით.

✦ პარასკევს, 20 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართა სალიტერატურო საღამო რომლის წმინდა შემოსავალი გადიდება ქართული გიმნაზიის ექსკურსანტ მოწაფეთა სასარგებლოდ. საზოგადოება ცოტა დაესწრო.

✦ ქალაქის სანიტარმა აშჩიანცმა თხოვნით მიმართა ქალაქის გამგეობას რომ დაინიშნოს ორი კაცი ქუჩაში მოხეტიალე ძაღლებისა და ღორების დასაჭერათ.

✦ ქუთაისის პირველდაწყებით ილია ჭავჭავაძის სახელობის სასწავლებლის გამგემ უკვე წარუდგინა სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვა 1 იანვრიდან დღემდის.

✦ არქიელის გორის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ დაბნელებულ ქუჩებში დადგან 7 ფარანი

# სამხედრო მიმოხილვა.

ვინც კითხულობს რუსის სამხედრო მიმოხილველთა წერილებს ომის შესახებ, ის, უეჭველია, შეამჩნევდა ერთ საყურადღებო მოვლენას: რუსი მიმომხილველნი გვიმტკიცებენ ხოლმე ესა თუ ის სამხედრო ოპერაცია მოკავშირეთათვის სასარგებლოდ წარმოებსო, რამდენიმე ხნის შემდეგ კი, მოულოდნელად გამოაცხადებენ ხოლმე გაკვრით, ამა და ამ მიზეზების წყალობით მოპირდაპირემ მიზანს მიაღწიაო. რათ ხდება ეს? ნუ თუ სიმარ-

# გუშინ და დღეს.*)

**წერილი ლ. დარჩიაშვილისა.**

I.

**გლეხობა.**

ჩვენს წინ ორი სურათია, ორის სხვა და სხვა ეპოქის გამომხატველი, თუმცა მათ მხოლოდ რამდენიმე წელიწადი აშორებს ერთმანეთს. პირველი სურათი წარმოადგენს ფეოდალ-ბატონყმობისებურ ტლანქს, გვერდზე წამოწოლილ შენობას, რასაც სათავეც გასტეხია და საძირკველიც გარღვევია; მასში თავხედად, ხეპრედ, მაგრამ ძლიერად შეჭედილა ახალი სახლის მასალა. შიგნით ირევიან და ბარბაცობენ ყველა ჯურის ხალხი, ყველა წოდებანი, რომელნიც არც ძველ წოდებათ ჰგვანან, არც ახალ კლასებს. დახავსებულ, ყავარყავარ დაპარულ კედლების ბნელ ჩრდილოებში უცნაურ სამჭედურებს მოსხდომიან კისერ გამაგრებული „ქურუმნი" და ნახევრად ტიტველ, ქირის ოფლში გაცურებულ ადამიანთა საშუალებით ადნობენ ოქრო-ვერცხლს და ხარბად იყრიან უბეჯიბეში; მაგრამ რაც მეტს იყრიან, იმდენი უფრო ოფლსა და სისხლში გაპოხილი ჯიბეები გძელდებიან რეზინებივით და იქ ჩაყრილი ფული უფრო და უფრო ეცოტავებათ; ხან-დასმით სამჭედუროში ცვივა ძველი კედლების ნანგრევები და

მაშინ დგება ქესატობა, უსაქმურობა, საერთო კბილთა ღრჭენა, ვიდრე რამოდენიმე ამოიწმინდებოდეს უცნაური სამჭედურო, სდგას სულის შემხუთავი ატმოსფერა. საერთოდ, ეს უთავ-ბოლოდ აჩოჩხილი შენობა არც თუ ინგრევა, არც თუ შენდება, არც თუ სახლსა ჰგავს, არც თუ საპყრობილეს, უფრო კი მეორეს, ვიდრე პირველსა.

მეორე სურათი არ არის დამთავრებული. აქ საშინლად ელავს, სურათი ბრიალებს ისეთი სიცხოველით, რომ შეუძლებელია თვალი გაუსწორო, აქ გაცხარებული, თავ-განწირული მუშაობაა; ყველა მოძრაობს, ყველა მოქმედობს, ყველა საქმიანობს; მაგრამ ეს არ არის უბრალო მომაკვდავთა ყოველდღიური საქმიანობა: აქ ყველაფერი დუღს, სჩქეფს, ბობოქრობს, ღელავს; ეს განხორციელებული სიცოცხლე არის. შეუძლებელია სურათის გარედან დათვალიერება, რადგან ვით დაუდუღარ მაჭრით სავსე ქვევრთა მარანი უბრალო ცნობის მოყვარე მაცქერალს დარეტიანებულს უკუ აგდებს, აგრედვე ის სურათიც გარედან მაყურებელს, თუ სულ არა ჰკლავს ცოცხალ-მკვდარს მაინც მიწაზე ართხობს, რაიც სიკვდილზე უფრო უარესია. მაგრამ თუ ვინმე ღირსეულად, სამეგობროდ შიგნით შევა, ახალ საქმეთა გაიზიარებს, იგი განიცდის ციდან ნაკურთხ სიამოვნებას, დაეწაფება თვით უკვდავების წმინდა ნექტარსა, რადგან აქ თითო ხელის გაქნევაც, თითო აქტიც დიადი საისტორიო მოვლენა არის და მის მომქმედნი უკვდავ ჰყოფენ თავიანთ სახელს; საუკუნოთა განმავლობაში მადლიერი შთამომავლობაში მათზე ილოცავს და იმათ სახელს ეთაყვანება.

მაგრამ ავხადოთ სურათებს მოკრძალების რიდე და გადავავლოთ თვალი.

სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც დღეს, თითქოს ჯადოქარი ჩხირის დაქნევით, ერთბაშად და მთელის თვისის ძლიერებით გადაიშალა ჩვენ თვალწინ აქ, კავკასიაში, და მთელ რუსეთის იმპერიაში, ეს ცხოვრება ერთ დღეს არ შექმნილა იგი ლოღიკური დასკვნაა, ხანგრძლივ პროცესის, პირდაპირი ეტაპია იმ გზისა, რომელზედაც ჩვენ შევდექით, თუ შეიძლება ნიშნობლივად ითქვას—ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. ბატონყმობის უღლიდან გამოშვებულ გლეხობამ ვერც კი მოასწრო ერთი თავისუფლად ამოექშინა, რომ მას მთელი თვისი სიმძიმით დააწვა ახალი, მაგრამ მოუწესრიგებელი წყობილება. მხოლოდ პატარა უმცირესობამ, ვისი რიცხვი თითებზე ჩამოითვლება და ვინც განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში მოჰყვნენ, მოახერხეს ზევით ამოსვლა და ვაჭრების, მრეწველების ანუ მემამულეთა კატეგორიაში ჩაირიცხნენ. დიდი უმრავლესობა კი ოთხად მოხარა მძიმე ეკონომიურმა უღელმა: მიწის სივიწროვე და თანაც სრული უმიწა წყლობა, გაუთავებელი, დაუსრულებელი გადასახადებები, პირდაპირი თუ ფარული, უზომო ხარჯი-ბორჯი, ბეგარა და სხ. ეს უღელი გამოყულფა და გააქვა-კლდევა ახალ წყალში დაფერილმა ძველმა პოლიტიკამ. ხშირად, თუ ყოველთვის არა, გლეხის დუხჭირ ცხოვრებასთან შედარებით, ფაბრიკა-ქარხანაში ქირაზე მუშაობა სანატრელ მდგომარეობას წარმოადგენდა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, გლეხს მაინც არ შეეძლო თავის ფარაჯა მუშის ხალათზე გაეცვალა. ეკონომიურ და იურიდიულ სიდუხჭირეს თან სდევდა მისი ბუნებრივი შედეგები; ფიზიკურ სილატაკესთან ჩაწნახნილიყო გონებრივ-ზნეობრივი სილატაკე, უმეცრება, შავ-ბნელი უმეცრება, ცრუმორწმუნება და ყოველგვარი სიბეჩავე, სასოწარკვეთილი სიბეჩავე

თუ შენ მიუახლოვდებოდი გლეხს და ეტყოდი—მისი ამგვარი დავრდომილება არ არის ადამიანისთვის ქუდბედად თანდაყოლილი მდგომარეობა, შესაძლებელია ისეთი ცხოვრება, რომ მასაც ჰქონდეს რიგიანი სახლ-კარი, სარჩო საბადებელი ისე, როგორც ყველა ადამიანს, რომ ამისთვის საჭირო არ იყო არც სხვის დაჩაგვრა და არც ვისთანმე ყმობა-მონობა, მხოლოდ უნდა შეცვლილიყო წესწყობილება, შენი მსმენელი გლეხი, თუ გულ-კეთილი ადამიანი იყო, გომში არ ჩაგაგდებინებდა, მარა მთქნარებით მაინც გაგაჩუმებდა; და თუ აღიჭურვებოდი მოთმინებით და დაჰსაქმებდი შენს მჭერმეტყველებას, გლეხი გისმენდა იმავე ინტერესით, როგორც ცხრა-თავიან მდევებზე ზღაპრებს; შენ კი, წახალისებული იმის მაცდურ ცნობის მოყვარეობით, განაგრძობდი ქადაგებას და კვლავ მოაგონებდი წესწყობილების შეცვლის საჭიროებას—აქ კი გლეხი აღაპყრობდა ცისკენ თვალებს და გადმოგხედავდა: კაცისა თუ არ გეში ნიან, ღვთისა მაინც გეშინოდესო. შენ არწმუნებდი, ზეცა ხელ-შეუხებელია, შენ მხოლოდ ამ ქვეყნიურ საქმეებზე ელაპარაკებოდი - და გამხნევებული მსმენელის ღიმილ-სიცილით, განაგრძობდი ბაას, მაგრამ ახლა კი მას დაეტყობოდა სეროზული მოუსვენრობა და ზეზეც წამოდგებოდა; შენა ჰფიქრობდი, მის გვერდში დაიძრა სამართლიანი, პროტესტანტული გულის-წყრომა ცხოვრებისადმი, მზად იყავ მეგობრულად გადაჰხვეოდი, მაგრამ „მეგობარი" კი ღვდლისკენ მიეშურებოდა: სახლი გაენათლა, რომ მის ოჯახს ავი ანგელოზი არ დაჰპატრონებოდა.

როდესაც უზიარებდი შენს გულს ბინდებს, ჩააგონებდი, რომ სოფელი ერთობ ბრმა ყრუაა, იგი სწრაფად მიექანება გადაგვარება-გათახსირებისკენ, რომ ტანჯვით სიკვდილი აუცილებელი იქმნებოდა, თუ მასში არ მოხდებოდა რაიმე სასიკეთო ცვლილება, რომ საჭიროა და შესაძლებიც მისი ტვირთის შემსუბუქება, ცხოვრების გაუმჯობესობა და ამისთვის საჭირო იყო მას თვალები გაეხილა, ყურიდან ბამბა გამოეღო და ცხოვრების ახალი მოთხოვნილებისთვის ანგარიში გაეწია, საჭირო იყო სკოლებისდაარსება, წერა-კითხვის გავრცელება, წიგნების კითხვა, ნასწავლ—გონიერ ადამიანთა ქადაგების მოსმენა და ერთობით მოქმედება,—გლეხი ძალიან, ძალიან იშვიათად და ისიც მეტად ბუნდოვანად დაგისახელებდა ამ სასიკეთო ცვლილების ეკონომიურ და პოლიტიკურ დაბრკოლებას, ხოლო საზოგადო, მუდმივი და ჩვეულებრივი პასუხი კი იყო ერთი: ეჰ, სადა გვცალიან ჩვენ მაგეებისთვინ, ისედაც წელებზე ფეხს ვიდგამ და მუშაობას თავს ვერ ავსდივარ, ვღონდები, ვძმარდები, რომ არ შემიძლიან იმოტელა ვისმე ქირა მივცე საქმეში და ვიშველიო და ახლა კიდევ ჩემი ბიჭიც, ჩემი საკუთარი შვილი სკოლაში მივცე, ვინდა, დამატანს ხელსმინდორში, კალოზე, ურემზე არა, არა ეგენი გლეხ-კაცის საქმე არ არი; ჩვენი საწერ-კალამი ჩვენი სახნისსაკვეთია და თოხ-ნიჩაბი, ჩვენი წიგნი და ქაღალდია, ჩვენი სახნავი მიწა; და აი, ვინც თქვენსავით მოცლილი ბრძანდება, წერვა და კითხვა კიდევ იმათი საქმეაო.

ასე და ამნაირად, მიდიოდა დრო, წელიწადები და ჩვენს ქვეყანას, ერთხელ განთქმულს გულუხვი პურითა და ღვინით, სწორის ნაბიჯით უახლოვდებოდა

*) წარსულ კვირის ნუმერში ჩვენ დავსტამბეთ ერთი მუხლი ამ წერილისა, **„ხალამი სამშობლო მხარეს"**. ახლა ვბეჭდავთ შემდეგს, რომ ჩვენმა მკითხველმა გაიცონს რა საღად უყურებდა ლადო, ჩვენში არსებულ კლასთა ურთიერთობას და როგორ საჭიროდ სთვლიდა მათ თანამშრომლობას, წინააღმდეგ „მართლმორწმუნე" ქართველ მარქსისტებისა.

წერილი დაწერილა 1905 წ. და დაიბეჭდა „ივერიაში" № 147. **რედ.**

ლის გამომჟღავნება რომელიმე დამარცხების შესახებ საბედისწერო გახდება? რძოლ გამარჯვებას ხომ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა! მაგრამ ზემო აღნიშნული მოვლენა დაკავშირებულია მეორე მოვლენასთან. რუსეთში არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ეგრედ წოდებულ „პორაჟენცებისა“. ეს დამფრთხალი ხალხი, რუსულ გაზეთების სიტყვით, ღრმად არის დარწმუნებული, რომ თანამედროვე ომი გერმანიის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება ეს მოვლენა ძრიად საინტერესოა, მით უფრო, რომ „პორაჟენცები“ ყველა წრეში არიან და მათ რწმენას არავითარი დასაბუთებული ფაქტები არ უძევს საძირკვლად. ეს ფსიქოლოგიური მოვლენაა, შიში.

ეჭვი არ არის კარგია მწარე სიმართლის დაფარვა ამისთანა ხალხისაგან, მაგრამ ხომ არ შეიძლება სამუდამოთ მიჩქმალვა ფაქტებისა? და, როცა ეს ხალხი გაიგებს სიმართლეს, უფრო შეშინდება ამნაირად სჯობია ხალხმა სრული სიმართლე იცოდეს. ასე იქცევიან გერმანელები, ინგლისელები და ფრანგებიც.

როგორი ახსნა-განმარტება ვერდენის ოპერაციისა არ გაგვიგონია ავტორიტეტიან პირებისაგან. ერთი ახსნა-განმარტება სცვლის მეორეს, მაგრამ სრული ჭეშმარიტება ჯერაც არა გვსმენია. უკანასკნელ დროს გავრცელდა ერთი აზრი: გერმანია იმიტომ განაგრძობს ვერდენთან ბრძოლას, რომ ეს ციხე მისთვის გადაიქცა მახეთ, რომელშიაც ფეხი მოუყვა და ფეხის გასანთავისუფლებლად არავითარ დანაკლისს არ ერიდებათ. ასეთი განმარტება სამაგალითო ოპერაციისა ან სრული პროფანობის ნიშანია სამხედრო საქმეში, ან და მტკნარი სიცრუე. ამგვარი აზრების გაზიარებამ არა ერთჯერ და ორჯერ გაუწია ცუდი სამსახური მოკავშირეთა სტრატეგიას. პირიქით, უნდა შეიგნონ მოკავშირეებმა ნამდვილი აზრი ვერდენის ბრძოლისა და შესაფერი ზომები მიიღონ, ვინაიდან ეს „განწირულის სულის კვეთება“ კი არ არის, არამედ სამაგალითო გეგმის სისრულეში მოყვანა. აქ საქმე გვაქვს ადგილსა და დროის შესაფერ საუკეთესო ტაქტიკასთან, ხან მედგრად შეტევა და ხან მიყუჩება. გერმანელები შეუტევენ ხოლმე, რამდენიმე წაიწევენ წინ, მაგრდებიან და ჩუმდებიან, ფრანგებს კი ჰგონიათ მოიქანცა მოწინააღმდეგეო და უტევენ, მაგრამ წინ ჰხვდებათ ძლიერი საველე სიმაგრეები და ძლიერი არტილერიის ცეცხლი, მეორე დღეს კვლავ უტევენ გერმანელები და მოგებით იბრუნებენ წინადღეზში დაკარგულს. ეს ხერხი მით უმეტეს სასარგებლოა გერმანელებისათვის, რომ მოუთმენელ ფრანგებს მოთმინება ეკარგებათ, მხოლოდ უკანასკნელი მოვლენა დამღუპველია. აი ამას უნდა მიაქციონ მოკავშირეებმა დროით ყურადღება.

შვერელი.

# ლექცია
## ქ ნ კატო მიქელაძისა

წაკითხული 18 მაისს, თეატრ რადიუმში.

ზოგისა ბამბა ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არათ.
ხალხური თქმულება.

ახირებული ხასიათის და თვისებისა შეიქმნა ჩვენი ცხოვრებაცა და ჩვენი პრესაც!..

ჩვენის ქვეყნის მოწინავეთა ჯგუფებათა და პარტიებათ დაყოფამ ჯგუფურისავე გულისათქმით გამსჭვალა თითოეული გაზეთის რედაქცია და მკითხველებიც...

საერთო, საქვეყნო აზრი და ფიქრი თითქოს სადღაც ჩაკვდა და ნიჭი და მუშაობა ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწისა მხოლოდ და მხოლოდ პარტიულის თვალსაზრისით იზომება.

ეჭვი არ არის, რომ რაც უფრო ბევრი სხვადასხვა აზრი ტრიალებს ამა თუ იმ საზოგადოებაში, რაც უფრო ფხიზლათა და მრავალმხრივ ადევნებს თვალს ჩვენი ქვეყნის მკვლევარ-მოღვაწე ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენას, მით უფრო ირკვევა ჭეშმარიტება და მსმენელ-მკითხველსაც საშუალება ეძლევა სამართლიანი მსჯავრი გამოიტანოს და სათანადოდ მოიქცეს, მაგრამ ჯგუფური, თუ პარტიული აღტყინება იმდენად ვიწრო, ეგოისტური და ბრმა არ უნდა იყოს, რომ ავი კარგისაგან ვერ გაარჩიოს და ერთსაცა და მეორესაც შესაფერი სახელი არ უწოდოს...

ჩვენში კი ასე არ არის!..

რაც უნდა ნიჭიერი, მშრომელი, გულწრფელი და ხალხის სამსახურის მოსურნე იყოს ადამიანი, მას საზოგადოებრივი საზომით კი არა ვზომავთ, არამედ ვზომავთ იმით, თუ რომელ დასს, რომელ ჯგუფს ეკუთვნის ეს ადამიანი.

თუ იგი დასელია, ფედერალისტი ცდილობს მის დამცირებას, თუ ფედერალისტია, დასელი სამარეს უთხრის მას, თუ ეროვნულ დემოკრატია ორივე ცნობილი ჯგუფი მაღლიდან დაბლა დაჰყურებს და მის ეროვნულ გრძნობასაცა და დემოკრატობასაც ბრჭყალებში („—“) სვამს ვითომდა არც ერთისა და არც მეორე სახელწოდების ღირსიც კი არ არისო!..

„ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო“ რომ იტყვიან, სწორედ ჩვენებურ ჯგუფობანაზე ითქმის და ის სამართლიანობა კი გვავიწყდება, რომ შეიძლება ამა თუ იმ ჯგუფის „ბახალა“ მეორე ჯგუფის „ბახალას“ ჩამოუვარდებოდეს აზრითაც, ჭკუითაც, გულწრფელობითაც, განვითარებითაც, მუშაობითაც და მოქმედებითაც. მაშასადამე — თუ ჭეშმარიტებას ვემსახურებით — მჯობნის მჯობნი ღირსებისამებრ უნდა დავაფასოთ ხოლმე და გავუხსნათ მას გზა-ფართო მოქმედებისა და მოღვაწეობისათვის.

ჩვენ კი ასე არ ვიქცევით!

ესა თუ ის კაცი თუ ჩვენი “წრისა“ არ არის, ყოველგან გზას ვუხშობთ და ხშირად, ძალიან ხშირად დაუმსახურებლადაც ვამცირებთ კიდეც.

ჩვენის აზრით ასეთი სამწუხარო მოვლენა აიხსნება ჩვენის — ქართველების — საერთო დაჩაგრულობით, საერთო გზა-აბნეულობითა და გამოურკვევლობით, თუმცა დრო კი არის ბოლო მოეღოს ასეთ ჩვენ ყოფნას და თითოეულის ჩვენთაგანის სიტყვა საჯაროდ თქმული და საქმე ქვეყნის სასამსახუროდ დაწყებული, ფასდებოდეს ხოლმე საერთო, საქვეყნო ღირებულების თვალსაზრისით და არა მარტო ჯგუფურის ქინით..

ეს ზოგადი მოსაზრება გვათქმევინა იმ გარემოებამ, რომ ბევრი ახლად გამოსული სამწერლო თუ სამეტყველო ასპარეზზე სათანადოდ არა ფასდება ჩვენში და, პირველ ნაბიჯის გადადგმისათანავე, ახალგაზდას გული უტყდება და სასოწარკვეთილებას ეძლევა...

ჩვენ არ ვიცით რამდენად მტკიცე და მაგარი ხასიათისაა, მაგალითად ქ-ნი კატო მიქელაძე, მაგრამ დუმილი ადგილობრივ პრესისა იმ ლექციის გამო, რომელიც 18 ამ თვეს მან წაიკითხა ქუთაისის თეატრ „რადიუმში“ დიდად სასიამოვნო არ უნდა იყოს მისთვის.

შეიძლება არ დაეთანხმოთ ლექტორქალის ამა თუ იმ დებულებას, ამა თუ იმ მოსაზრებას, მაგრამ მისი ლექცია იმდენად დამუშავებული, ნააზრევი და ნაშრომი იყო, რომ ჩვენ გაზეთებს (ქუთათურ) უეჭველად უნდა აღენიშნათ იგი და შესაფერი მსჯავრი დაედოთ ამ ნაშრომისათვის მით უმეტეს, რომ მოღვაწე ქალები წვენ ცოტა გვყავს და თითოეული გამოსვლა ქართველის ქალისა სამაგალითო უნდა იყოს დანარჩენ ქართველ ქალებისათვის.

ამ ხუთ ექვს წელიწადში მხოლოდ ორი ქართველი ქალი წარსდგა ქუთათურ საზოგადოების წინაშე — ქ-ნი ჩიტო შარაშიძე და კატო მიქელაძე -- და ორივე დიდი ყურადღების ღირსია, მიუხედავად მათის პარტიულისა, თუ ჯგუფურის რწმენისა...

ქ ნმა კატო მიქელაძემ ეს მეორე ლექცია წაიკითხა ქუთაისში და ჩვენის აზრით სავსებით დაგვანახვა თავისი ნიჭი დ მომზადება.

პირველი მისი ლექცია შეეხებოდა ჩვენებურ „ფუტურისტებს“ და სათანადო ძლიერებითაც დაასამარა ეს მახინჯი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში.

მეორე ლექცია „რუსთაველი და სიმბოლისტები“ ასე ვსთქვათ გაგრძელება იყო მისი პირველი ლექციისა.

ლექციის ტეზისები: მხატვარი, როგორც შემომქმედი და აღმზდელი, ხელოვნების დანიშნულება, ესთეტიური გრძნობა, პრერაფაელისტები, გიდროპატები, დეკადენტები, სიმვოლისტები, ესტეტები, პარნასელები და დემონისტები, საფრანგეთის სიმვოლისტები და ჩრდილოეთის სიმვოლისტები, იბსენი, ბოდლერი, ვერლენი, კატულ მენდესი, დეზესენტი და სხვა, ესკიზი შოთა რუსთველზე ბ-ნი რობაქიძისა, სიმვოლიზმი „ვეფხვის ტყაოსანში“ ბ-ნი რობაქიძის თვალთახედვით, ზედმიწევნითა და ყველასათვის თვალსაჩინოდ განმარტა. ნამეტნავად ცხად ჰყო ბ-ნ გრ. რობაქიძის ნახევრად ვეინინგერული და ნახევრად ნიჩშეანურ — დეკადენტური აზრის სიყალბე „ვეფხვის ტყაოსნის“ შესახებ

არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთებში რომ ბ ნი გრ. რობაქიძე ბოროტად ხმარობს თავის ნიჭს, მჭევრმეტყველებას, ცოდნას და თავისი „ბურუსოვან — ნისლოვან — ცეცხლებურ — ფრენილ“ ლექციებში ისე შესტოპავს ხოლმე „ტკბობით აღძრულ ნაღველში“, რომ არამც თუ უბრალო მომაკვდავს, ბრალიანსაც არა ესმის რა მისი და ეს კი ტყვილი დროს დაკარგვა და ხელოვნების ერთგვარი პროფანაციაა...

ქ ნმა კატო მიქელაძემ ეს ჩვენი შენიშვნა სავსებით დაასაბუთა და დამსწრე საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ ბ ნი რობაქიძე მეტად დაბალის აზრისაა ქალებზე და ასეთი მისი აზრი დიდად შეურაცხმყოფელია ნამეტნავად ქართველის დედისა და ქალისათვის, რომელმაც დაიხსნა ჩვენი ქვეყანა განადგურებისაგან და რომელიც კვლავ გამოაფხიზლებს ჩვენს ქვეყანას, თუ ბ-ნ რობაქიძისთანა ლექტორებმა თავ გზა არ აუბნიესო“.

ლექციას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა და დიდად ნასიამოვნებიც დაიშალა, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ რამდენიმე აქაურ ფუტურისტს, ერთი რომელთაგანიც შუა ლექციიდან თავჩაღუნვით გაიპარა.

კარგს ინებებს ქ-ნი კატო მიქელაძე ამ ლექციებს თბილისშიც რომ წაიკითხავდეს და მერე დაბეჭდავდეს კიდეც. მაშინ უფრო დააფასებენ მას და გზასაც გაუხსნიან სამოღვაწეოთა და სამუშაოდ.

ამჟამად კი ეს მშრომელი ქალი ყოვლად უყურადღებოდ არის დატოვებული.

კარგს ინებებენ ქუთათური ქართული დაწესებულებანი მიიწვევდენ მას სათანადო ადგილზე და მით საშუალებას მისცემდენ შრომის განგრძობისათვის.

ისევ ის.

# რუსული პრესა.

„ჰელსინგფორსის დღიური“ იკვლევს სომეხთა აწინდელ მდგომარეობას, [illegible] სურათიც გადაიშალა სომეხთა [illegible]ზე და დასძენს:

„არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სომხები დარწმუნებული არიან თავის სამშობლოს სრულ განთავისუფლებასა და აღორძინებაში. მაგრამ რანაირად, რა გზით უნდა განხორციელდეს ეს? რუსეთმა იმდენი ჯარი, ფული და ენერგია დახარჯა სომხეთის ტერიტორიის შემოერთებას, რომ ის ვერ გასცემს სრულიად სომხებს; მით უმეტეს ეს ასე მოხდება, რომ რუსეთის არამც თუ თავადიან წრეებისა, არამედ თვით ლიბერალ პარტიების იდეალს შეადგენს გეგმა ხმელთა შუაზღვისკენ გაჭრისა ალექსანდრეტათი.“

# ლ. დარჩიაშვილი.

განათხული დგებოდა... თავისუფლების ნიავმა ტანჯულ არე-მარეს დაუქროლა და აბიბინა მდელო ბრძოლისა...

მუშები ცისკრის მოლოდინში იყვნენ.

ახლოვდებოდა ჟამი ბრძოლის .. შრომის...

და რადგან ბრძოლის ზეიმი პირველ მერცხლებმა ჭიკჭიკით ამცნეს ხალხს, ოცნება სინამდვილეს დაუახლოვდა.

მოწინავენი ჰორიზონტზე გამოჩნდნენ. . მათ შორის იგიც იყო

იგი ზეგარდმომავლით დაჯილდოვებული საუკეთესო მებრძოლი და დიდი მჭერმეტყველი შეიქნა.

მისი მედგარი ხმა, ცოცხალი სიტყვა და უსაზღვრო თავგამოდება ყველას გულს სიამოვნებით უვსებდა.

მჩქეფარე ნაკადულივით აღრქევდა ძლიერ სიტყვას წყვდიადით მოცულ საქართველოს.

მზის სხივივით ეხეთქა წყვდიადის კედლებს და გააპო იდუმალი ფარდა შავბედობისა...

და ოკეანე შავბედობის შეირხა!.. აზვირთდა!.. ჩამაქცერებელ ზვირთთა სრბოლაში ამაყ მებრძოლს ტიტანური ნდომით დაუქარა მიეშველა.

და აჰა! წყვდიადი შთანთქა სხივმა ნათელმა, და დადგა განთიადი'..

მაგრამ ბედმა, შავ ბედმა დაჩაგრა მგზნებარე გული მისი ერისა...

ცხოვრებამ ჯადოსნური ხელის ქნევით იგი მოსტაცა „ტა ფირუზს, ხმელეთ — ზურმუხტის“ კუთხეს და მგლოვარი იგი ცხრა მთას იქით დაასამარა.

მსხვრევის აკორდს შემოქმედის აღდგო მოაკლდა და განთიადის ერთი ნათელი სხივი უფსკრულში ჩაიძირა სამუდამოდ.

ვასო ჭითავა.

რუსეთის შიდა გუბერნიების სისტემატიური შიმშილობის საზარელი აჩრდილი.

ეს იყო გუშინ. დღეს კი სხვასა ვხედავთ. ჩვენი სოფელი დღეს ერთნაირად გადმოტრიალებულა. (ჩვენ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, პსიხოლოგიურ ცვლილებაზე, რაც ყოველთვის უსწრობს და წინამორბედობს ცხოვრების ყოველგვარ ცვლილებას). ვერ დამისახელებთ ჩვენის ქვეყნის ერთ სოფელს, სადაც გლეხკაცობა თავგამოდებული არა თათბირობდეს თავის საჭირ-ბოროტო კითხვებზე და არ ეძებდეს საერთო უბედურების საერთო ძალღონით შველას.

დღეს გლეხის მწუხარე ქოხში, იმის კერაზე ნახავთ გადაშლილს ისეთ წიგნაკებს, რომლის ხელში აღება, ამ რამდენიმე წლის წინად, თვით ინტელიგენტისაგანაც კი მოითხოვდა მოქალაქობრივ გამბედაობას. დღეს კი გლეხს უპირავს ეს ნაწერები და გაბრწყინვალებული თვალებით, გაასკეცებული ინტერესით კითხულობს იმ მიზეზებს, რამაც ცეცხლი ჩააქრო იმის კერაზე, და ჰპოვებს იმ „ჯადოქრობას“, რაიც მას ხელახლა აუნთებს ცეცხლს, უფრო მეტის სითბოს, მეტის სიცხოველის ცეცხლს, და რომელიც არაოდეს აღარ ჩაქრება. დღეს სოფლის ყრილობებზე, სახალხო ტრიბუნაზე, გუშინდელი გულ-ჩათხრობილი, ბეჩავი გლეხი მჭექარე ხმით მედგრად ჰღაღადებს: გვეყო, ხალხო, გვეყო!... აი, რაც თავი შევისწავლია და სადამდინაც კი მისწვდება ჩვენი მამა-პაპათა ხსოვნა, გლეხ კაცობა ვყოფილვართ და ვართ ქვეყნის სათელი, საგლეჯ საწიწკნი; დიდი ხანია, ჩვენი ბე[illegible]ობა და სივაგლახე გულ ღვიძლ გვის[illegible], სიცოცხლეს გვიშხამავს; ჩვენი საცოდაობით ქვანიც კი უნდა სტიროდნენ, მაგრამ ჯერ ჩვენთვის შველა და ხსნა არსაიდან არ გამოჩენილა, ჯერ ჩვენი მცველი და მფარველი არსად არავინა ყოფილა და არც იქნება. ხალხნო, ეს სიტყვა კარგად გეყურებოდეთ, ჩვენ სხვისგან არ უნდა ველოდეთ შველას და ხსნას ახლა დადგა დრო, რომ ჩვენ თვითონ ვილაპარაკოთ, ჩვენ თვითონ მოვუაროთ ჩვენ ბედ-შაობას, ჩვენ თვითონ წაუძღვეთ წინ ჩვენ ცხოვრებას. სხვისგან კი არ უნდა ველოდეთ შველას, ჩვენვე უნდა გამოვთქვათ და გამოვაქვეყნოთ ჩვენი სატკივარი, ჩვენი სატანჯველი, ჩვენვე უნდა ვიპოვოთ ჩვენი საშველი, ჩვენვე უნდა დავასახელოთ, რომელი სამართალი და რომელი კანონი მოაწესრიგებს გლეხის ცხოვრებას. გვეუბნებიან ბატონ-ყმობა გადავარდაო. ეს ოხერი და ეს ტიალი, თუ ბატონ ყმობა გადავარდა, რათ არი რომ ის მიწა წყალი, სადაც ჩვენ მამა-პაპას სისხლი და ოფლი ჩაუღვრია, არ შეგვიძლიან ისე მოვხნათ, მოვთესოთ, რომ ჩვენი ნაამაგდარი, ჩვენი ნაშავდღევი ჩვენვე ჩავიკლათ და სხვამ არ აიკლოს, არ გაანიორწყლოს? .

მახსოვს, მე ჯერ პატარა ბალღი ვიყავი, ერთხელ დედა ჩემი გადამეხვია, გულში ჩამიკრა დ კოცნა ალერსით მახარა: შვილო, დედა გენაცვალოს, ბატონყმობა გადავარდნილა, ეხლა შენც იგეთივე თავისუფალი კაცი იქნები, როგორც ჩვენი ბატონიშვილი, მამა-შენიც და ყველა გლეხები, ახალი კანონით, ისეთივე კაცებად არიან გამოცხადებული, როგორც ყველა ბატონები, არავის არც ერთი ყმა აღარ ეყოლება. მთელი ქვეყანა განგაშობდა ბატონ-ყმობა გაუქმებულია, ბატონ ყმობა გადავარდაო თუ ბატონ ყმობა გადავარდა, მაშ რათ არი, რომ ჩემი ნაოხარი მიწა არ შემიძლიან ჩემი სურვილისა და საჭიროების დაკვალად ან შევიმუშაო, ან დავაგირაო, ან გავცვალო ან სულ გავყიდო, თუ ხელს აღარ მაძლევს, და მე სხვაგან გადავილუპო, სხვა საქმეს მოვკიდო ხელი, როგორც ეს ყველა თავისუფალ ადამიანს შეუძლიან. თუ ბატონ-ყმობა გადავარდა, რათ არი რო ეს უანგარიშო ხარჯი, ბორჯი, ფოსტის ფული, ბეგარა, მარტო ჩვენ კისერზეა და სხვები კი ყალაღნათ დასეირნობენ? დასეირნობენ ჩვენ გაკეთებულ გზებზე, ხიდებსა და ბოგირებზეც და არც კი იკითხავენ: ვინ და როგორ გააკეთა?.. თუ ბატონ-ყმობა გადავადრა რათ არი რომ გადასახადებებით ჩვენ ვიყვლიფებით და ხოდაბუნები, მთა და ბარი, ტყე და მინდორი კი სხვას უპირავს? თუ მაქვს და მაბადია რამე, სახელმწიფო გადასახადს არც მე გავექცევი, მაგრამ, მე რომ ორი დღის მიწა მეპირა და სხვას კი ორჯერ ათი და ოცი დესეტინა, ჩემი ორი შაური რომ სხვის ორ თუმანზე მეტსაც უდრის და გადასახადები რატომ არ უნდა იყოს შეძლებისა და ქონების დაკვალად გაწერილი? მე თუ მაბადია რამე, მოგცემ გადასახადს, მაგრამ, თუ მაგდენი აღარ მაბადიარა და სულს ძლივს ვიბრუნებ, რათ უნდა დამისხან ცეცხლზე წყალი? ხალხნო, თუ ბატონ-ყმობა გადავარდა, რატო სახელმწიფო სამსახური არ უნდა იყოს ყველასთვინ თანაბარი? რატო უფლება, მოვალეობა, კანონი და სამართალი არ უნდა იყოს ყველასთვინ თანასწორი და თანაბარი?.. ახლა ეს ამოდენა ბაჟები და აქციზები სასმელებზე, ჩაი-შაქარზე, სპიჩკაზე, ნავთზე და ყველა ჯანდაბაზე

გვეუბნებიან: იყიდი — აძლევ ამ ფარულ გადასახადს, არ იყიდი — არაფერს იხდიო, და ვინც კი ყიდულობს რასმე მდიდარი თუ ღარიბი, ყველა თანაბარს იხდის, ამაში ყველანი თანასწორნი ვართო. ხალხნო, ყველაფრით დაბეჩავებული ჩვენა ვართ დ მასხარადაც ჩვენვე გვიგდებენ. აბა, ერთი წუთით ჩავუფიქრდეთ საქმეს. მე რომ ღარიბ-ღატაკი ვარ ჭამა სმა, სანათი და სხვა რამეც მინდა, სანამ პირში სული მიდგა; ვთქვათ, მდიდარს ჩემზე დიდი მუცელი აქვს, ის ჩემზე მეტს დალევს, ჩემზე მეტს შეჭამს, მაგრამ ჩემისთანა ღარიბი მილეთის ხალხია, მდიდრები კი ბევრი არ არის ქვეყანაზე, მაშ ჩვენ უფრო მეტს ვხმარობთ, მეტს ვყიდულობთ მიუცილებელ საჭიროების საქონელს და მასზე შეკეცილ, ფარულ გადასახადებსაც ჩვენ უფრო მეტს ვაძლევთ, ვინემ მდიდრები. გარდა ამისა, ვთქვათ, მე ვიყიდე რამე, საბაჟე წილი გადამხდა ერთი შაური, მდიდარმაც იგივე იყიდა და მასაც შაური გადაჰხდა, მაგრამ ღარიბი რომ ერთ შაურს აძლევს იმას ხელი ეწვება, რადგან შაურები ოხრად არ უყრია, მდიდარი კი მარტო საყვარლის გაღიმებაში ისე გადააგდებს თუმანსა და მეტსაც, რომ იმისმა ჯიბე-ქისამ ვერც კი შეიტყოს რამე და, აი, ჩვენცა და ისიც, ორივენი, სიტყვაზე, შაურს ვაძლევთ გადასახადს; განა ეს არის თანასწორობა, ეს არის სამართალი?.. და რა მარტო გადასახადების საქმე, ყველგან და ყველაფერში ჩვენ გვატყუებენ, ჩვენზე ბუქნაობენ ყველა ჯურის ბატონები და ჩვენ არც კი გაგვეგება, საით რა ბაიბუია. ხალხნო, ჩვენ ბრმა ყრუნი ვართ, აჯამები ვართ, არა გვესმის-რა: ჩვენი უბედურობა, ჩვენი მტერი, ჩვენი მოსისხლე მტერი ჩვენივე გაუგებრობაა, ჩვენივე უცოდინარობა და უშეცრება, დროა თვალი გავახილოთ, დროა ჩვენც გავიგოთ და შევიტყოთ რამე ქვეყნიერობისა... შავბნელი, დუხჭირი ცხოვრებით გულგატეხილნი ჩვენ გავიძახოდით: გლეხკაცის გაჩენაში ღმერთი არა ჰრევიაო, და თავს კი იმითი ვიმშვიდებდით, რომ მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო მე დღეს მთა და ბარის გასწორებაზე არ გელაპარაკებით, დეე, ჯერ ნუ გასწორდება მთა და ბარი მაგრამ ჩვენც თუ კაცები ვართ, თვალები გვიხელია და თავზე ქუდი გვახურავს, ჩვენც უნდა გაგვაჩნდეს რამე ადამიანური ცხოვრებისა, ჩვენც უნდა გვქონდეს ერთი ადგილი დედა-მიწაზე, ჩვენკენაც უნდა მოდიოდეს ერთი სხივი ბრწყინვალე მზისა.

აბა, გაიხედ გამოიხედეთ ეს ამოდენა ნახნავ-ნათესეულობა, ზღვასავით გადაჭიმული ვენახები ვისი გაკეთებულია, თუ არ ჩვენი მარჯვენისა? ამ სოფლებს იქით კიდევ დიდი ქალაქებია, დიდი საქმე და დიდი ცხოვრება; იქ აუარებელ ქონებასა და სიმდიდრეში ღივლივებენ ადამიანები და ყველა ეს ამოდენა სიმდიდრე მხოლოდ შრომით არის გაკეთებული, მხოლოდ შრომის ნაყოფია; შრომაა საძირკველი ცხოვრებისა, შრომაა რომ აყვავებს და სამოთხის წალკოტად ჰხდის ქვეყნიერობას. შრომა და ჯაფა ხომ ჩვენი საქმეა, მაშ ჩვენც უნდა გვედოს წილი ადამიანურ ცხოვრებაში... ხალხნო, შრომა დიდი მადლი, დიდი წყალობაა, მაგრამ შრომა სამართლიანი, მხოლოდ და მარტო სამართლიანი შრომა... „სამართალი... სამართლიანობა!. სამართლიანობა“! გრგვინავს და ბობოქრობს აზღვავებული ხალხი და არც დასცხრება, ვიდრე მას არ ესალმუნება სამართლიანობის ცხოველ-მყოფელი სხივები!..

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისის გუბერნიის

## სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო

# ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებულ ბანკის წესდების მე-17 § ის ძალით, ამა 1916 წლის ივნისის ქვემო მოხსენებულ რიცხვებში, შუადღის 12 საათიდან, ბანკში შესატანი გადასახადების შეუტანლობის გამო, მოხდება საჯარო ვაჭრობა განუმეორებლათ, სადაც გაიყიდება ქვემო ჩამოთვლილი ქონებანი:

ს ბანკის წესდების მე-18 § ის ძალით, მესხებლემმა უნდა შემოიტანონ ბანკის კუთვნილი ნედოიმკები, პროცენტები ვადის გადაცილების გამო და სხვა ხარჯები, რომელიც გამოიწვია ქონების გასასყიდათ დანიშვნამ, პირველი ვაჭრობის დაწყებამდი, ხოლო თუ პირველი ვაჭრობა არ მოხდა, ყოველივე ეს მესხებლემმა უნდა წარმოადგინოს მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდი და ამნაირათ გაანთავისუფლოს თავისი ქონება გაყიდვისაგან.

გადასახდელი ფული შეიძლება შეტანილ იქნას: ვაჭრობის დღემდე—ქუთაისში, ბანკის კასაში: თფილისში—ბანკის სააგენტოში, თფილისის საკომერციო ბანკში, აზოვ-დონის და ვოლგა-კამის ბანკის განყოფილებაში და „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკირო კანტორაში; ბათომში -თფილისის საკომერციო ბანკისა და შეერთებული ბანკების განყოფილებაში; ფოთში, სოხუმში და ზუგდიდში—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ხოლო ვაჭრობის დღეს, ვაჭრობის დაწყებამდი მხოლოდ იქ, სადაც საჯარო ვაჭრობა მოხდება—ბანკის გამგეობაში ქუთაისში და ბანკის სააგენტოში—თფილისში·

ამასთანავე ერთად ბანკის გამგეობა სთხოვს ბ ნ მესხებელთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნედოიმკა ვაჭრობის რამდენიმე დღის წინათ შეუტანიათ ბანკის კორესპონდენტებთან სწრაფათ დეპეშით აცნობონ გამგეობას ფულის შეტანის შესახებ იმ დაწესებულებათა საშუალებით, სადაც ფული შეუტანიათ. ბანკის გამგეობა სანამ არ მიიღებს დეპეშით ცნობას კორესპონდენტთან ფულის შეტანის შესახებ, ფული წარდგენილათ არ ჩაითვლება და ამიტომ უძრავ ქონებას ვაჭრობიდან არ მოხსნის.

ბანკის იმავე წესდების მე-19 §-ის თანხმათ, როგორც პირველი, ისე მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა მოხდება იმ უძრავ ქონების გასასყიდათ, რომელიც თფილისსა და თფილისის გუბერნიაშია, და ქ. ყარსში—„ბანკის სააგენტოში. ქ თფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, სახლი № 1, ხოლო დანარჩენ ქონებათა გასასყიდათ—ბანკის სადგომში, ქალაქ ქუთაისში, რიჟინაშვილის სახლში, სობოროს მოედანზე.

ბანკის მე-20 § ის ძალით, ვაჭრობა დაიწყება იმ ჯამიდან, რომელიც ირიცხება ქონებაზე სხვადასხვა ხარჯებით, როგორც გაყიდვის გამო, ისე სხვა გაწერილი ხარჯებისა და აგრეთვე ისეთი გადასახდებისა, რომელთაც თავისი სიდიდით უპირატესობა ეძლევა. ძირითადი ვალი შეიძლება გადატანილ იქნეს მყიდველზე ან გადახდილ იქნეს, ხოლო ყოველნაირი ნედოიმკა შეტანილ უნდა იქნეს ნაღდ ფულზე.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა ვაჭრობის დაწყებამდი უნდა წარმოადგინონ ნაღდ ფულათ ბე, რომელიც უნდა უდრიდეს ნედოიმკებისა და სხვა გადასახადების ჯამს, რაც ქონებაზე ირიცხება. უნდა იქნეს წარმოდგენილი ან ნაღდ ფულათ, ან სახელმწიფოსა და მთავრობისაგან უზრუნველყოფილ ქაღალდებით, აგრეთვე იმ ბანკისა საგირავნო ფურცლებით, რომელიც ყიდის მამულს. პროცენტიანი ქაღალდები და საგირავნო ფურცლები მიიღებიან იმ შეფასებით, რომელიც გადაწყვეტილია ფინანსთა მინისტრისაგან მამულის უსასყიდლოდ გადასვლის დროს გადასახდელ ბაჟად.

ბანკის წესდების მე-21 §-ის ძალით, ვაჭრობა შესრულებულათ უნდა ჩაითვალოს, თუ მყიდველისმიერ შეძლებული ფასი დაფარავს იმავე წესდების მე-20 §-ში აღნიშნულ ვალს, ნედოიმკებსა და ხარჯებს. საჯარო ვაჭრობაზე შეძლეული ჯამი, წარდგენილ ბეს, ძირითადი ვალისა და აგრეთვე შეძენილი მამულის დამტკიცების ხარჯების გამოკლებით, მყიდველმა უნდა შემოიტანოს არა უგვიანეს 14 დღისა, საჯარო ვაჭრობიდან. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი თოთხმეტი დღის განმავლობაში არ შეასრულებს ამ პირობას, ის დაკარგავს წარდგენილ ბეს, ხოლო მამული ძველი პატრონის სახელზე დარჩება

როგორც პირველი, ისე განმეორებითი ვაჭრობა იქნება მხოლოდ სიტყვიერი: დაბეჭდილი კონვერტებით წარდგენილი ფასები არ მიიღება. არავითარი უპირატესობა საჯარო ვაჭრობაზე არ ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც ბანკის შემდეგ დამატებით გირავნობა აქვთ. ამათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში სხვებთან თანასწორ პირობებში.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია ბანკის გამგეობაში ინახულოს გასასყიდი მამულის საქმის წარმოება ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი.

## პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) **6 ივნისს** იმ უძრავ ქონებათა, რომელნიც ქალ. თფილისსა, თფილისის გუბერნიაში და ქალ. ყარსშია.

ბ) **10 ივნისს** იმ უძრავ ქონებათა, რომელნიც ქალაქ ქუთაისშია.

გ) **13 ივნისს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ქალაქებსა, დაბებსა და აგრეთვე სოხუმისა და ბათომის ოლქებშია.

და დ) **15 ივნისს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქების სოფლებშია და აგრეთვე იმისა, რომელზეც გაცემულია მოკლევადიანი სესხი.

## განმეორებითი და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) 21 **ივნისს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც თფილისსა, თფილისის გუბერნიაში და ქალ. ყარსშია.

ბ) 25 **ივნისს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქალაქ ქუთაისშია.

გ) 28 **ივნისს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ქალაქებსა, დაბებსა, და აგრეთვე სოხუმისა და ბათომის ოლქებშია.

დ) 30 **ივნისს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქების სოფლებშია და აგრეთვე იმისა, რომელზეც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.